# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-924

19/10/2020

ქ. თბილისი

**სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ მაგისტრალური გაზსადენის „ხაშური-ზესტაფონის“ მონაკვეთის 0-36 კმ-ის მშენებლობის და ექსპლუატაციის სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.11 ქვეპუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ მაგისტრალური გაზსადენის „ხაშური-ზესტაფონის“ მონაკვეთის 0-36 კმ-ის მშენებლობის და ექსპლუატაციის სკოპინგის დასკვნა №80 (02.10.2020);
2. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №80 (02.10.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე ხაშურის, საჩხერის და ჭიათურის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

**ლევან დავითაშვილი**

**მინისტრი**